ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 26-111

30 ოქტომბერი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" და „კ" ქვეპუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

1. შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებაში (ვებგვერდი, 23/12/2014 სარეგისტრაციო კოდი 010340000.35.101.016058) და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" და „კ" ქვეპუნქტების და 122-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" მე-4 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:".

2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებულ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესში" და წესის:

ა) პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ინიციატორი განაცხადს წარუდგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“), რომელიც ამზადებს საკითხს.“.

ბ). მე-2 მუხლის მე-4-მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება სააგენტოს მიერ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) მიერ დადგენილი საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით.

5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება სააგენტოს მიერ, დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნის საფუძველზე დადგენილი საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5% -ის ოდენობით.

6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

7. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.“.

გ). მე-2 მუხლის მე-11-მე-13 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ქონების პირდაპირი განკარგვის წესით ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, გარდა ამ მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით განსაზღვრული იურიდიული პირისა, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ქირის წლიური საფასურის ოდენობას განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის საფუძველზე, სააგენტო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით სარგებლობაში გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებას.

12. პირდაპირი განკარგვის წესით თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-13 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა.

13. ამ მუხლის პირველი, მე-9 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა ან თხოვების ფორმებით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს და

მუნიციპალიტეტის 100-პროცენტიანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოს. ქონება უსასყიდლო სარგებლობის უფლებით შეიძლება აგრეთვე გადაეცეს ფიზიკურ ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირს ქონებაზე ინვესტიციის განხორციელების ან/და ხარჯების გაწევის პირობით."

დ). მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პირდაპირი განკარგვის წესით ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე შესულ განაცხადებას სააგენტო იხილავს ინიციატორის მიერ განცხადების წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და ამ წესის მე-2 მუხლის:

ა) მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დამოუკიდებლად ადგენს პირდაპირი განკარგვის წესით ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობებს;

ბ) მე-10 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტო ადგენს პირობებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობის საფუძველზე;

გ) მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტო საკითხს წარუდგენს ქ. თბილისის მთავრობას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პირდაპირი განაკრგვის წესით ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.".

ე). მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებაში (ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში) ცვლილება შეაქვს სააგენტოს. მე-2 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ცვლილება შედის სააგენტოს მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობით. მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულებაში (ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში) ცვლილება შეაქვს სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის საფუძველზე.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

2015 წლის 18 სექტემბერს საქარტელოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ (4310-Iს), რომელის თანახმადაც ახლებურად დარეგულირდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის პროცედურები. კერძოდ, დაზუსტდა საკრებულოს ფუნქცია მუნიციპალიტეტის ქონების განკარგის დროს ფასის განსაზღვრის წესის დადგენის ნაწილში. რამაც აუცილებელი გახადა ფასის განსაზღვრის ნაწილში კოდექსის შესაბამისად წესში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

წესში ასევე შედის ტექნიკური სხვა სახის ცვლილებები, განიმარტა და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით რიგი საკითხები. კერძოდ:

- დადგენილების სათაური შესაბამისობაში მოდის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ცვლელებასთან;
- იცვლება და მარტივდება დანაწესი, რომელიც ეხება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მოძრავი ქონების აუქციონის წესით, ასევე პირდაპირი განკარგვის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის წესებს;
- სწორდება არსებული ტექნიკური ხარვეზები.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართის სააგენტო.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.